

რელიგია და კავკასიის ერთიანობა

(შესაძლებლობანი და რეალობა)

იშვიათია დედამიწის ზურგზე კუთხე, სადაც იმდენი ტომი და ენა იპოვებოდეს, რამდენიც კავკასიაშია თავმოყრილი. ეს არის, შეიძლება ითქვას, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენათა "მადანი", როგორც ძლიერი ძარღვი, გასდევს კავკასიონის მთაგრეხილს. ასეთივე "მადანი" იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტოგროსისა და ევფრატის შუამდინარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიანეთი, რომელიც ახლა ზაგროსის მთიანეთის სახელწოდებით არის ცნობილი. ლურსმულმა წყაროებმა შემოგვინახა მწირი ცნობები მათ შესახებ. შუამდინარული ცივილიზაცია, შეიძლება ითქვას, ვითარდებოდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ამ ტომებთან გაუთავებელი შეხლა-შემოხლის პირობებში. გუმილევის ტერმინ-ცნებას თუ გამოვიყენებთ, რამდენიმე ტომმა მათ შორის განიცადა პასიონარული აფეთქება, რასაც საბედისწერო შედეგები ჰქონდა ტიგროსისა და ევფრატის აუზში. ცნობილია გუთიელებისა და კაშიელების (კასიტების) ბატონობა აქადისა და ბაბილონის იმპერიის საზღვრებში. ამ ორი ისტორიული ფაქტის გარდა, როცა მთიელთა დინასტია მართავდა შუამდინარეთს, წყაროებში დადატურებულია სპორადული შემოსევები, რომელთაც არ მოჰყოლია რაიმე გადამწყვეტი ცვლილება. ჩვენს ინტერესს ამჟამად იწვევს ის გარემოება, რომ ეს ხალხები, როგორც მათი ენების მწირი ფრაგმენტები მოწმობს, არ ყოფილან ერთმანეთთან საერთო წარმოშობით დაკავშირებულნი. მასალის სიმწირის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: არ ხერხდება ამ ენების ერთმანეთთან ნათესაობისა და თითოეული მათგანის ენათა რომელიმე ცნობილ ჯგუფთან სიახლოვის დადგენა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ენობრივი სიტუაცია ზაგროსისა და მის მიმდებარე მთიანეთისა ტიპოლოგიურად უახლოვდება კავკასიის ენობრივ სიტუაციას. მიუხედავად საკმაოდ მდიდარი მასალისა (ცოცხალი ენების არსებობის პირობებში), ვერ დადგინდა გენეტური ნათესაობა ენათა იმ ოთხ ჯგუფს შორის, რომლებიც კარგა ხანია რაც გამოყოფილია ენათა ამ მასივში. ამას ემატება, თუნდაც გვიან

შემოტყრილი, ენობრივი მასივები ინდო-ირანული ოსურისა და თურქული მოდგმის ყარაჩაულ-ნოღაურის სახით, რომ არაფერი ვთქვათ კიდევ უფრო გვიან შემოტყრილ ტომებზე, რომელთაც სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანულის სახით გაამდიდრეს ენების მაღანი დედამიწის ამ რეგიონში. ამას ემატება ინდოევროპული სომხური, რომლის ფონოლოგიურ სისტემას ძლიერი "კავკასიური" გავლენა ატყვია. თუ შევალთ ისტორიის სიღრმეში, კავკასიის სამხრით აღმოვაჩინებთ ურარტულ ენას, რომლის გავრცელების არე, შესაძლოა, ზაგროსის მთიანეთამდე ვრცელდებოდა, და ამრიგად იქმნებოდა ერთიანი დისკრეტული მასივი ერთმანეთთან საერთო წარმოშობით დაუკავშირებელ ენათა. ერთი მხლოდ ის ვიცით, რომ არც-ერთი ამ ენათაგანი არ ეკუთვნის თანამედროვე ცივილიზაციაში მონაწილე ენათა ჯგუფებს - ინდოევროპულს, სემიტურს და თურქულს. კავკასია ითვლება ობოლ ენათა ჯგუფების სამშობლოდ, სადაც ისტორიის მანძილზე შემოდინდა ხსენებულ ჯგუფთა ენების მატარებელი ხალხები (ალან-ოსები, ჰაიები, თურქები). დღეს ზაგროსის მთიანეთი (ეს ეხება აგრეთვე მთელს წინა აზიას თავისი ძველი, დღეს მკვდარი არაინდოევროპული და არასემიტური ენებით) "გაწმენდილია" ენობრივად, ამოწურულია ის "მაღანი," რომლის არსებობა იქ ძველი წელთაღრიცხვის მთელი ორიათასწლეულის მანძილზე დასტურდება. თითქოს ამ "მაღანმა" კავკასიაში გადმოინაცვლა. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ხანაში ეს ხალხები ცხოვრობდნენ თავიანთ ძველ ადგილებში. ალექსანდრეს ჰქონდა შემთხვევა შეტაკებოდა მათ შორეულ შთამომავლებს - ესენი იყვნენ უქსიები და კოსაები (ბერძნ. კოსაი), იმ ტომთა შთამომავლებს, რომელთაც აქადის მეფე ნარამსინი ებრძოდა თავის დროზე. ისინი ცხოვრობდნენ მიუვალ მთებში და მტრებისგან დევნილნი კიდევ უფრო მაღალ მთებს აფარებდნენ თავს (იხ. არიანეს "ალექსანდრეს ლაშქრობა"). ტომთა და ენათა სიმრავლე ერთ მცირე ტერიტორიაზე არ უნდა იყოს ორდინალური ფაქტი, არც დღეს და არც ძველ დროში. მას შეეძლო შეექმნა და ალბათ ქმნიდა კიდევ "ჩვენ-სხვისის" მრავალწახნაგა დაპირისპირებათა ქაოსს. თავისთავად ასეთი დაპირისპირება ეთნიურ სამყაროში სტრუქტუროგენული ფაქტორია, მაგრამ ამ დაპირისპირების გვერდით მუდამ მოქმედებდა საწინააღმდეგო პრინციპი ინტეგრაციისა, "სხვისის" "ჩვენად" გარდაქმნისა. ეს პრინციპი ორი მიმართულებით ხორციელდებოდა - ჰიპოთეზის პლანში და კულტურულ-პოლიტიკურ რეალურ პლანში.

ის, რასაც ჩვენ დღეს ჰიპოთეზას დავარქმევთ, ძველ სამყაროში, კერძოდ შუმერში, მითოსის სახით იჩენს თავს. კერძოდ, ჩვენ ვლავარაკობთ შუმერულ ისტორიოსოფიაზე, სადაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, წერილობით გამოითქვა იდეა "ჩვენი" და "სხვა" ხალხების საერთო წარმოშობისა. ერთი შუმერულენოვანი ტექსტი, მოგვითხრობს რა ამქვეყნიური კაცობრიობის წარსულზე, სამოთხის მდგომარეობაზე, ასე აღწერს მას:

ერთ დროს შუბურის მთები, ხამაზის ქვეყანა,
შუმერის მიწა, ტკბილმეტყველი,
დიადი ქვეყანა, დიდებულ წესთა,
ური, მქონებელი ყოველთა სახმართა,
მართუ, ბედნიერად დაგანებული,
მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი,
ენლილს ერთ ენაზე აღიდებდა.

შუმერული მითოსი აღიარებს ენათა და ხალხთა ერთიანობას წარსულში და აღნიშნავს ამ ერთიანობის დაშლასაც, რაც წინ უსწრებს ბიბლიურ გადმოცემას ენათა აღრევის შესახებ. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კაცობრიობის ერთობა, შუამდინარეთითა და მისი მახლობელი ოიკუმენათი გამოხატული, რელიგიური ნიშნით არის წარმოდგენილი. ერთი ენა - ერთი რელიგია. ეს არის კაცობრიობის წარსული. მეორე, კულტურულ-პოლიტიკური პლანი წარმოდგენილია მითოსში, რომელიც მოგვითხრობს "ველურის", ანუ კულტურული ოიკუმენას ფარგლებს გარეთ მცხოვრები ადამიანის (ხალხის) ინტეგრაციას მოწინავე კულტურის მატარებელ შუმერთან. ლავარაკია კულტურის ფარგლების გაწვევა-გაფართოებაზე, ბუნების, შეიძლება ითქვას, შემოყვანაზე კულტურაში. ასე შემოდის ველური მართუ (დასავლეთსემიტური ტომების ეპონიმი) შუმერის ცივილიზაციაში, ეზიარება მის სიკეთებს შუმერის ასულზე ქორწინების მეოხებით. ქორწინებამ დროთა ვითარებაში უნდა გაათანაბროს ამ წყვილს შორის არსებული უფსკრული, დაახლოვოს ისინი. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ ველურმა მართუმ თავის მხრივ შეიტანოს შუმერში თავისი კულტურული ფასეულობანი. უფრო გვიანი ანალოგია ამ შეუღლებისა შეგვიძლია დავინახოთ იმ გრანდიოზულ ქორწილში, რომელიც გადაუხადა ალექსანდრე მაკედონელმა ათიათას ბერძენ ვაჟსა და სპარსელ ქალწულს. აშკარაა ამ აქტის სიმბოლური მნიშვნელობა და ის ვრცელ კომენტარს არ უნდა მოითხოვდეს. ის, რაც შუმერულ მითოსში აღიწერა, რეალურად მოხდა ელინისტური ერის დასაწყისში აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა გზავსაყარზე მათ შესახვედრად და ურთიერთსაზიარებლად.

ჩინეთის, "შუა სამეფოს" (ჯუნგო), მესვეურთა საუკუნოებრივი ალტერნატივა - აზიარონ თავიანთ ცივილიზაციას მეზობელი "ბარბაროსები" თუ გაემიჯნონ მათ, ჯუნგოს გარშემო დიდი კედლის შემოვლებით დასრულდა. ასე არ მოქცეულა არც შუმერი და არც მრავალი საუკუნის შემდეგ ალექსანდრეს გენია. თუ ისტორიაში რაიმე პროგრესი არსებობს, ის ხორციელდება არა გამიჯვნის, თვითიზოლირების გზით, არამედ ინტეგრაციის, კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების გზით. ასე "შედგა" შუამდინარული ცივილიზაცია, ასე "შედგა" ელინისტური ცივილიზაცია.

მივხედოთ კავკასიას. ლეონტი მროველისეული გენეალოგიური მითოსი თარგამოსიანთა შესახებ კავკასიის ხალხთა საერთო გენეტურ წარმოშობას და, ამასთანავე ერთად, თავდაპირველ პოლიტიკურ ერთობას აღიარებს. ბიბლიური

სქემა, ელინიზებული ფორმით წარმოდგენილი, კავკასიის ჭრელ ეთნიურ რეალობას არის მისადაგებული. საერთო წინაპრიდან, მამიდან - თარგამოსიდან (ბიბლ. თორგამა) წარმომავლობას ზურგს უმაგრებს არსებობა საერთო მტრისა, რომელიც ასევე ბიბლიური სამყაროდან არის მოხმობილი. ეს არის ნებროთი, რომელიც, გამომდინარე მისი ბიბლიური დახასიათებიდან, როგორც კულტურულად დაბლა მდგომი, უპირისპირდება თარგამოსიანთა დაწინაურებულ მოდგმას. ეს მოდგმა ქმნის კავკასიაში კულტურულ ოიკუმენას. ეს მითოსი, საყურადღებოა, რომ სწორედ მაშინ შეიქმნა, როცა მის ავტორს გააზრებული ჰქონდა კავკასიის საერთო მტრის არსებობა. იგი შეიქმნა როგორც

კავკასიის ხალხთა გაერთიანების სამოქმედო პროგრამა. მართალია, ხალხთა საერთო წარმოშობის იდეის გამომხატველი ეს მითოსი, როგორც ყოველი მითოსი, წარსულისაკენ არის ორიენტირებული, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მას, როგორც ქრისტიანი ავტორის ხელიდან გამოსულს, ხალხების მომავალი კვლავ-ერთიანობა აქვს მხედველობაში. ამ სქემას, რომლითაც იწყება ლეონტი მროველის "ქართველ მეფეთა ცხოვრება", აშკარა პოლიტიკური ამოცანა აკისრია, ამდენად იგი თანადროულობის პროგრამაა. მაგრამ რაკი საქმე ქრისტიანულ ეპოქასთან გვაქვს საქმე, რომლის იდეოლოგია (კერძოდ, ისტორიოგრაფია) ესქატოლოგიური ნიშნით არის აღბეჭდილი, ხსენებული გენეალოგიაც ხალხთა ესქატოლოგიურ მომავალს გულისხმობს. ამ სქემაში დადასტურებულია არ მხოლოდ გენეტიური და პოლიტიკური ერთიანობა თარგამოსიანთა, არამედ რელიგიური ერთობაც. მათი საფიცარია ერთი ღმერთი, დამბადებელი, რომლის შეწევნით ისინი ჩამოიგდებენ ნებროთის უღელს. "აწ შეწევნითა დამბადებელითა ვიყვნეთ არა ვისა მონა, და არავის ვმსახურებდეთ თვინიერ ღმრთისა დამბადებელისა..." ეს არის მათი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე არჩევანი. მათ დაამარცხეს ნებროთის ლაშქარი და "ძღვეაშემოსილნი ჰმადლობდეს ღმერთსა... და განთავისუფლდეს ნათესავნი თარგამოსისნი".

საგულისხმო კიდევ ის არის, რომ პოლიტიკური წინააღმდეგობა ("შურის ჩავარდნა") ნებროთიანთა შორის იწვევს რელიგიურ დეგრადაციას "მას უამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი". წინაპართა კულტი დადებითი მომენცია საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში, მაგრამ აქ დავიწყებულია პირველწინაპარი თარგამოსი, საერთოკავკასიური ერთიანობის მამამთავარი. "ქართლოსის საფლავის" ხსენება აქ მიუთითებს ახალი ეთნიური ერთობის წარმოშობას: თარგამოსი გადადის უკანა პლანზე, ის დავიწყებას მიეცემა, ისტორიულ ხსოვნაში ის ადგილს უთმობს ქართლოსს. არც რელიგია, არც პოლიტიკური ერთობა, აღარც ხსოვნა საერთო წარმოშობისა არ აერთიანებს იაფეტის ძმისწულის - თარგამოსის მოდგმას.

დაირღვა თავდაპირველი ერთიანობა. კავკასიაში იწყება ისტორიული პერიოდი, ისტორიული ცხოვრება ხალხებისა, რომელთა ურთიერთობა არ არის დამყარებული საერთო წარმოშობაზე, ერთი მამის წარმომავლობის

შეგნებაზე. ყველას თავისი საფიცარი აქვს, ყველა თავის ეთნიურ რელიგიას მისდევს. მათი გამაერთიანებელი არც საერთო მტერთან ბრძოლაა. რა უნდა ყოფილიყო ის ზეეროვნული ძალა, რომელსაც შეეძლებოდა კავკასიის ხალხების მოქცევა პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობაში?

თუ წვრილმანებს არ გამოვეყიდეებით და თვალს გავადევნებთ ისტორიულ პროცესს კავკასიის ტერიტორიაზე, დავინახავთ, რომ ხალხების გამაერთიანებელი ფუნქცია შეეძლო ეტვირთათ დიდ კულტურულ რელიგიებს, თუმცა ეს არ იყო მათი, როგორც აღმსარებლობის, მთავარი ამოცანა. ერთმანეთის თანამიმდევრობით სამმა რელიგიამ გადაიარა კავკასიის ტერიტორიაზე, არა უბრალოდ, აღმსარებლობამ, რომლის არჩევა ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. რელიგიას მოსდევდა პოლიტიკა ან, სხვანაირად, რაც იმავე შედეგების მომტანია, პოლიტიკას მოჰქონდა რელიგია. "ქართლის ცხოვრება" საკმარის მასალას იძლევა იმის საჩვენებლად, თუ როგორ ცდილობს მაზდეანური რელიგია კავკასიაში გავრცელება-გაფართოებას. ცეცხლთაყვანისმცემლობა სამეფო რელიგიაა კავკასიის ორ ძირითად სამეფოში - სომხეთსა და საქართველოში. ეს ანათესავებთ მათ. სომხეთისა და საქართველოს სათავეში საერთო სამეფო სახლები დგანან, რელიგიაც საერთოა, კულტურაც, ლაპარაკია ელიტარულ, ოფიციალურ კულტურაზე, საერთოა. გარკვეული პერიოდის მანძილზე საერთოა მტერი, დავარქვათ მას პირობითად ნებროთი. ამრიგად, ერთი მამის განაყარნი - ჰაოსიანნი და ქართლოსიანნი კვლავ ერთიანდებიან. მათ ერთიანობაზეა დამოკიდებული მრავალწილად მთელი კავკასიის - თარგამოსიანთა ერთიანობა. მათი გზით მაზდეანობას შეეძლო შეედწია კავკასიის ხალხებში და, რაღაც მასშტაბით, ეს კიდევაც ხდებოდა.

არსებობდა ამისათვის საკმარისი, შეიძლება ითქვას, მატერიალურ-იდეოლოგიური ბაზა. ირანის ხელისუფლება მოწადინებული იყო მაზდეანობის საზღვრების გაწევისა. ზოროასტრიზმის ექსპანსიასზე აქემენიდურ ხანაში მიუთითებს ისეთი გაბარიტების ცეცხლის ტაძრის არსებობა შუაგულ ქართლში, "დედოფლის მინდორზე", როგორც მაზდეანობის ცენტრში - პერსეპოლისშიც არ დასტურდება. ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ ეს ტაძარი მხოლოდ სპარსელ კოლონისტებს ემსახურებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იქნებოდა ქვეყანაში მაზდეანობის გავრცელებისა. ცხადია, ამაოდ არ ჩაივლიდა მოგვიანებით უზენაესი ცეცხლქურუმის კარტირის გეგმაც, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობის გასავრცელებლად მკაცრ ღონისძიებებს სახავდა (III ს-ის ბოლო). მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობა იყო, რომელსაც რეალიზაცია არ ეწერა. ვერ გამოდგებოდა ხალხთა გამაერთიანებელ ძალად ის რელიგია, რომელიც საბოლოოდ არ იყო გათავისუფლებული ეთნიურობისგან. მაგრამ რაღაც საერთო ამ რელიგიამ მაინც შექმნა საქართველოსა და სომხეთში. ჰაოსიან-ქართლოსიანთა ქრისტიანობამდელი საერთო კულტურული პლასტის დიდი წილი მაზდეანობაზე მოდის. ის სიახლოვე, რომელიც იგრძნობოდა და რეალურადაც არსებობდა ქართველებსა და სომხებს შორის ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებისთვის, გარკვეულ წილად ორივეგან (თუმცა არათანაბარი ინტენსივობით) მაზდეანური კულტურის შედეგია.

ქრისტიანობის შემოსვლა კავკასიაში ახალი ძლიერი ნაბიჯი იყო მაზდეანური ექსპანსიის შემდეგ, რომელსაც გადაეღობა იგი. ქრისტიანობის ასპარეზი, მისი უნივერსალობის წყალობით, უფრო ფართე იყო: მას ახალ, უფრო მკვიდრ საფეხურზე უნდა აეყვანა ჰაოსიან-ქართლოსიანთა ერთობა. მეორე მხრივ

ამ ერთობაში უნდა შემოეყვანა თარგამოსიანთა მოღვმის სხვა მცირე ხალხებიც. საქართველოსაც და სომხეთსაც შესწევდათ საამისო სულიერი და ნივთიერი ძალა. ქართველ-სომეხთა ერთიანობა ქრისტეში ძლიერი პლაცდარმი იყო მაზდეანობის საპირისპიროდ, რომელმაც ქრისტიანობის ხანაში ახალი ძალით გაააქტიურა ექსპანსია. ამას მოწმობს ისეთი ვითარების შესაძლებლობა, როგორც ცურტავის საპიტიახშოში შეიქმნა. უფრო მეტად კი სომხეთში, სადაც ქრისტიანობის ყოფნა-არყოფნის პრობლემა რეალურად და მწვავედ იდგა. მაგრამ ერთიანი ძალისხმევით მაზდეანობა წარმატებით იქნა მოგერიებული.

სამი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა კავკასიაში იმის საიმედო გარანტია უნდა ყოფილიყო, რომ ქრისტიანობა გასცდებოდა მათ საზღვრებს და შეადწევდა მთიელი ხალხების საზოგადოებებში, რომელთაც იმდროისათვის სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდათ. სომხეთიდან და საქართველოდან ორი მიმართულებით მიმდინარეობდა კავკასიის ქრისტიანიზაცია. მესამე მიმართულება გამოდიოდა მესამე კავკასიური სამეფოდან - ალბანეთიდან, რომლის სამისიონერო სფერო დადესტნის ხალხები იყო. როგორც ნახვენებია სამეცნიერო ლითერატურაში, ქრისტიანული ქართულ-სომხურ-ალბანური

პოლიტიკური გაერთიანებები, თითოეული თავის მხრივ, იბრძვიან მთელი კავკასიის გასაერთიანებლად. ამ დროისათვის ჩრდილო კავკასიის საზოგადოებებში წარმატებით ვრცელდებოდა ქრისტიანობა. კავკასიურ ენებში ქრისტიანული სარწმუნოების ფუნდამენტური ტერმინი ჯვარი ქართული და სომხური (ხაჩ) ლექსიკური ფორმით არის შესული. მაგრამ საქართველოს ჰეგემონია სამისიონერიო გზაზე აშკარაა. მე-14 საუკუნისათვის დაღესტანი და ვაინახების ქვეყანა როგორც ქრისტიან თემები, საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტიანობას აქ "ქართული სახე" ჰქონდა. პატრიარქის დავალებით კახეთის ეპისკოპოსი სახარებებს გადააწერინებს და აგზავნიებს მათ ადგილობრივ ეპარქიებში.

ქრისტიანობა ვრცელდება, ის გაცდება მაზდეანობის გავლენის საზღვრებს, მისი ტენდენციაა მოიცვას მთელი კავკასია და გარკვეულ ეპოქამდე მიიწევს წინ ქრისტეს ჯვარი, რომლის ნაშთები დღემდე ზედაპირზე ჩანს ჩრდილოეთ კავკასიის ტომებში. მაგრამ ეს მხოლოდ კვალია და ნაშთი. ცნობილი მიზეზებით, ქრისტიანობის ტოტალური გავრცელება კავკასიაში შეწყდა, ამ რეგიონში მან გზა დაუთმო სხვა ძალას, რომლისადმი დაპირისპირება მას კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ აღარ შეეძლო.

მაგრამ კონსტანტინეპოლის დაცემამდე მრავალი საუკუნით ადრე მასზე არანაკლები, თუ კავკასიის მასშტაბს ავიღებთ, ტრაგედია იყო ჰაოსიან-ქართლოსიანთა კონფესიური განხეთქილება, კვლავ, რა თქმა უნდა, ქრისტიანობის საზიანოდ კავკასიაში. ამიერიდან (ეს მოხდა VII ს-ის დამდეგს) ორი ერის ეთნოგენეზისი განსხვავებული ტრადიციებში წარიმართა.

VIII ს-ში შემოსული ისლამი თანდათან რკალში აქცევს კავკასიას. ეს შემორკალვა მზადდება საუკუნოვანობით. თითქმის პარალელურად ვრცელდება ის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში. გამაჰმადიანებული ძველი ალბანეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი და იქ, სადაც ქრისტიანობამდე ძლიერი მაზდეანობის კერები იყო, ის ადგილი ისლამმა დაიკავა. ისლამი ცდილობდა, ყოველ შემთხვევაში, აშკარად უკვე XVIII ს-ის ბოლოდან ამ დროისათვის გამუსულმანებული ჩრდილოკავკასიის ხალხების პანისლამური დროშის ქვეშ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას. ამ მცდელობის

განახლება იყო მომდევნო ეპოქაში შამილის ომები იყო. მართალია, ჰაზავათს თავისუფლება ჰქონდა მიზნად, მაგრამ ისმის კითხვა: თავისუფლება საითკენ? გამარჯვების შემთხვევაში, ცხადია, მუსულმანურ კერებზე დაყრდნობით ექსპანსია მთელს ამიერკავკასიაზე გავრცელდებოდა.

ამგვარი მცდელობები დღესაც ძალაშია. რომელი გარეშე პოლიტიკური ძალაც არ უნდა ერიოს ჩრდილოკავკასიური კონფედერაციის შექმნაში, ერთი რამ აშკარაა, რომ ის აღდგენაა იმ პანისლამური პოლიტიკისა, რომელიც კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ წამოიწყო "მაღალმა პორტამ".

საბოლოოდ, რას წარმოადგენს კავკასია? კავკასიის ხალხები განსხვავებული რელიგიებისა თუ განსხვავებულ ქრისტიანულ კონფესიათა წიაღში ჩამოყალიბდნენ. მივიღეთ სახლი, სადაც თითოეულმა მოსახლემ თავისი არჩევანი გააკეთა... თითოეული ხალხის ეთნოგენეზისი განსხვავებული რელიგიებისა და კონფესიების წიაღში მიმდინარეობდა... ისლამი, მართლმადიდებლობა და მონოფიზიტობა - არ არის მხოლოდ აღმსარებლობა, რომელსაც ესა თუ ის ერი ირჩევს, არც მხოლოდ პოლიტიკური კურსის გამოხატულება. ის ამავე დროს ძლიერი კულტუროგენური ფაქტორია, ეს არის ყოფიერების წესი, მენტალიტეტი, ყველაფერი ის, რაც, როგორც ანდაზა ამბობს, რჯულზე უმტკიცესია.

კრიზისების ხანაში, როგორც დღეს, გვეჩვენება, რომ კავკასიის ერთიან პოლიტიკურ და კულტურულ რეგიონად წარმოსახვა ისეთივე მითია, როგორც XI ს-ში შექმნილი ქართული მითი თარგამოსიანთა ერთობის შესახებ ან XX ს-ის ლინგვიტური მითი იბერულ-კავკასიური ენების თავდაპირველი ნათესაობის შესახებ.

რა რჩება? მხოლოდ გეოპოლიტიკური პრობლემა, რომელიც თითოეულ ხალხს, ქვეყანას, თავისებურად აქვს გააზრებული, და ისეთ გადაწყვეტას მოეწოდებს, როგორც მისთვის არის ხელსაყრელი? თარგამოსიანებს ერთი მტერი ჰყავდათ - ნებროთი, ბიბლიური "ძლიერი მონადირე", ხალხების რისხვა. გაიზარებს კავკასია, თუ ის ერთიანია, საერთო მტერს, თავის ნებროთს?

